

**საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო ინტეგრაციის, ეთნოსთაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობის**

**მედია სტრატეგია**

საქართველოში ათწლეულების განმავლობაში ეროვნული ერთიანობის, ეთნოსთაშორისი, რელიგიათაშორისი ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხში მრავალი გადაუჭრელი სირთულე დაგროვდა, რომელთა გადასაჭრელადაც სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები წლების განმავლობაში სხვადასხვა პროგრამებს ახორციელებდნენ.

წინამდებარე სტრატეგია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციას, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპულ ჩარჩო კონვენციას, საქართველოს კანონს „მაუწყებლობის შესახებ“, მათ შორის „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლს („თ პუნქტი), რომლის მიხედვით საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია „პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება“;

განვლილ წლებში სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა პროგრამებმა გარკვეული დადებითი ეფექტი გამოიღო, მაგრამ არსებული გამოწვევების დიდი ნაწილი კვლავ აქტუალური რჩება.

ეროვნული ერთიანობის, ეთნოსთაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში არსებული გამოწვევებიდან აღსანიშნავია შემდეგი აქტუალური საკითხები:

**1. ეროვნული უმცირესობების არასაკმარისი ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ:**

ა. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთის ნაწილი) მოსახლეობას საქართველოში მიმდინარე და საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ინფორმაცია ძალიან შეზღუდული ქრონომეტრაჟითა და ფორმით მიეწოდებათ;

ბ. ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები მოწყვეტილი არიან შესაძლებლობას საქართველოში მიმდინარე და

საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია საქართველოს მედიასაშუალებების მიერ მათთვის გასაგებ ენაზე მომზადებული მედიაპროდუქციით;

გ. საქართველოში მიმდინარე და საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთის რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ინფორმაციას ძირითადად იღებენ უცხოეთის მედიასაშუალებებიდან.

## **2. უმრავლესობის წარმომადგენელთა მწირი ინფორმირებულობა ეროვნული უმცირესობების შესახებ:**

ა. ქართულენოვან მოსახლეობას - უმრავლესობის წარმომადგენლებს მწირი ინფორმაცია აქვთ ეროვნული უმცირესობების კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებებისა და ასევე ქვეყნის ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის შესახებ. აღნიშნული გარემოება ხელისშემშლელი ფაქტორია ინტეგრაციისთვის.

ბ. უმრავლესობისა და უმცირესობების მნიშვნელოვან სეგმენტში, ერთმანეთის მიმართ ხშირად გვხვდება ნეგატიური მითები, ლეგენდები და სტერეოტიპები, რაც მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ეროვნული ერთიანობის, ეთნოსთაშორის ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციისთვის.

ბ. ქართულენოვან გადაცემებში ეროვნული ერთიანობის, ეთნოსთაშორის ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობი მედიაპროდუქცია ძალზე იშვიათად მზადდება. გაწეული ძალისხმევა ამ სფეროში არსებული გამოწვევების გადაჭრისთვის ადექვატური არ არის. აღნიშნული პრობლემის მოგვარებას პროფილურად ემსახურება მხოლოდ ერთი რადიოგადაცემა „ჩვენი საქართველო“, რაც ბუნებრივია ვერ შეძლებს ამ პრობლემის მოგვარებას.

## **3. ქვეყანაში არსებული მრავალფეროვნების ასახვა და უმცირესობების წარმომადგენელთა ინტეგრირება საერთო ეროვნულ მედიასივრცეში:**

ა. საზოგადოებაში არსებული ეროვნული და რელიგიური მრავალფეროვნების ასახვა ეკრანზე ზრდის არხის მიმართ ინტერესს ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების მხრიდან და ხელს უწყობს ნდობის ამაღლებას. შესაბამისად მნიშვნელოვანია მოხდეს საქართველოს მრავალფეროვნების ასახვა (ეთნიკური/რელიგიური/კულტურული მრავალფეროვნება) და რელიგიურ/ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხების რეგულარული გაშუქება.

ასევე, ქართულენოვან საერთო ეროვნულ მაუწყებლებში ძალზე იშვიათად გვხვდება წამყვანისა და ჟურნალისტის პოზიციაზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების ასახვის მდიდარი გამოცდილება აქვთ

ევროპისა და ამერიკის წამყვან არხებს და ეს სისტემა ამ ქვეყნებში აპრობირებულია და წარმატებით მუშაობს. ეროვნული ერთიანობის, ეთნოსთაშორის ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები გვხვდებოდნენ სხვადასხვა გადაცემების წამყვანისა და ჟურნალისტის პოზიციაზე.

ბ. ქართულენოვან საერთო ეროვნულ მაუწყებლებში, საერთო ეროვნულ პრობლემებზე მსჯელობის დროს, პრაქტიკულად არ გვხვდება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სტუმრის რანგში, რომელიც ისაუბრებს ეკონომიკის, პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხების შესახებ. აღნიშნული პრობლემის არსებობა ეროვნულ უმცირესობებში ხელს უწყობს გაუცხოებისა და ჩაკეტილობის შეგრძნების ზრდას.

დ. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ძირითადად მხოლოდ მაშინ იწვევენ სტუმრებად გადაცემაში, როდესაც მსჯელობა მიმდინარეობს საკუთრივ ეროვნული უმცირესობების ან ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების შესახებ.

#### **4. ჟურნალისტების კვალიფიკაცია, ინფორმირება და განათლება მრავალფეროვნების გაშუქების საკითხებში:**

ა. ქართულენოვანი საერთო ეროვნულ მაუწყებლების წარმომადგენლები ნაკლებად არიან იფორმირებულნი მრავალფეროვნების გაშუქების სპეციფიური საკითხების შესახებ;

ბ. ეროვნული ერთიანობის, ეთნოსთაშორის ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა გადაცემების ავტორები, წამყვანები, ჟურნალისტები, რედაქტორები, პროდიუსერები და სხვა პერსონალს ჰქონდეთ მრავალფეროვნების გაშუქების კუთხით საკმარისი მგრძნობელობა და უფრო დეტალურად და სიღრმისეულად იყვნენ ინფორმირებულნი ეროვნული და რელიგიური უმცირესობების კულტურის, ტრადიციების, ქვეყნის ცხოვრებაში არსებული როლისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

#### **5. ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი მოსახლეობის ინფორმირება მათთვის გასაგებ ენაზე საქართველოში მიმდინარე და საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ**

\* მიმდინარეობს საკითხის სიღრმისეული შესწავლა და ამ საკითხთან მიმართებით შემუშავდება სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც დამატებით იქნება განხილული.

## **6. რელიგიური მრავალფეროვნების ასახვა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამებსა და გადაცემებში**

რელიგიური უმცირესობები და მათთან დაკავშირებული საკითხები არ არის სრულფასოვნად ასახული საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებსა და პროგრამებში. ძალზე იშვიათად შუქდება რელიგიური უმცირესობების ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი თემები. საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებში სრულფასოვნად უნდა იყოს გაშუქებული საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნება.

საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო ინტეგრაციის, ეთნოსთაშორისი და რელიგიათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობის მედია სტრატეგიის

სამოქმედო გეგმა 2017 – 2020 წლები

მიზანი და ამოცანა		საქმიანობა/ლონისძიება	პასუხისმგებელი ორგანიზაცია/ უწყება	შესრულების ვადა
1.	ქვეყნაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეროვნული უმცირესობების ინფორმირების ხელშეწყობა	<p>ა. საზოგადოებრივი მაუწყებლის პოპულარიზაცია და ყურებადობის გაზრდა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;</p> <p>ბ. უმცირესობების ენებზე მაუწყებელი ინტერნეტ და რეგიონული რადიოების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა;</p> <p>ბ. უმცირესობების ენებზე მაუწყებელი ინტერნეტ და რეგიონული ტელევიზიების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა;</p> <p>გ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპროდუქციის (საინფორმაციო და სხვა გადაცემები) თარგმნა უმცირესობების ენებზე და რეგიონულ მედია-სივრცეში განთავსება;</p> <p>დ. სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მოამბის თარგმნა და გავრცელება(დილის, დღის და საღამოს პროგრამა) (გავრცელება საიტზე და რეგიონული ტელევიზიებით);</p> <p>ე. უმცირესობების ვებ-პლატფორმის ამოქმედება და მისი პოპულარიზაცია;</p> <p>ვ. რუსულენოვანი რადიოსა და ტელევიზიის ჩამოყალიბება;</p> <p>ზ. აფხაზური და ოსურ ენოვანი რადიოსა და ტელევიზიის ჩამოყალიბება;</p> <p>ე. ეროვნული უმცირესობებისთვის საინტერესო თემების იდენტიფიცირება</p>	<p>საქართველოს მთავრობა</p> <p>საზოგადოებრივი მაუწყებელი</p> <p>ეროვნულ უმცირესობათა საბჭო</p>	2017 – 2020

		და მათი ასახვა/გაშუქება მედიასივრცეში.		
2.	ეროვნული უმცირესობების შესახებ უმრავლესობის წარმომადგენელთა ინფორმირებულობის დონის გაუმჯობესება	<p>ა. საინფორმაციო და საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა სხვა გადაცემაში გარკვეული პროპორციით ეროვნული უმცირესობების თემის ასახვა;</p> <p>ბ. სერიალებში, მხატვრულ და დოკუმენტურ მედიაპროდუქციაში ეროვნული უმცირესობების თემატიკის ასახვა;</p> <p>დ. სპეციალიზირებული ყოველკვირეული ტელე გადაცემის შექმნა, რომელიც ასახავს ეროვნული უმცირესობებისთვის ყველა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს.</p>	საქართველოს მთავრობა საზოგადოებრივი მაუწყებელი ეროვნულ უმცირესობათა საბჭო	2017 – 2020
3.	ქვეყანაში არსებული მრავალფეროვნების ასახვა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინტეგრირება საერთო ეროვნულ მედიასივრცეში	<p>ა. ქართულოენოვანი საინფორმაციო და სხვა გადაცემებში უმცირესობების წარმომადგენელთა წამყვანებად და ჟურნალისტებად ჩართვის ხელშეწყობა;</p> <p>ბ. ქართულოენოვან საინფორმაციო და სხვა გადაცემებისთვის უმცირესობების წარმომადგენელთა წამყვანებად და ჟურნალისტებად ჩამოყალიბებისთვის საჭირო სასწავლო პროგრამების განხორციელება.</p>	საქართველოს მთავრობა საზოგადოებრივი მაუწყებელი ეროვნულ უმცირესობათა საბჭო	2018 – 2020
4.	მრავალფეროვნების გაშუქების საკითხში ჟურნალისტების კვალიფიკაციის, ინფორმირების და განათლების დონის გაუმჯობესება	ბ. ქართულოენოვანი და უმცირესობების ენებზე მაუწყებელი გადაცემების ჟურნალისტების, წამყვანების, რედაქტორების, პროდიუსერების, ავტორებისა და სხვა პერსონალის განათლებისა და ინფორმირების დონის გაუმჯობესება მრავალფეროვნების გაშუქების საკითხში. შესაბამისი ტრენინგების, სემინარებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება.	საქართველოს მთავრობა საზოგადოებრივი მაუწყებელი ეროვნულ უმცირესობათა საბჭო	2018 – 2020

5.	თანამშრომლობის გაძლიერება ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებთან	<p>ა. თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან;</p> <p>ბ. წინამდებარე სტრატეგიისა და გეგმის ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით განხორციელება;</p> <p>დ. ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისგან საზოგადოებრივ მაუწყებელთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს ჩამოყალიბება.</p>	საზოგადოებრივი მაუწყებელი  ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები	2017 – 2018
6.	სტრატეგიის და გეგმის შესრულების მონიტორინგი	ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ სტრატეგიის და გეგმის შესრულების მონიტორინგი	ეროვნულ უმცირესობათა საბჭო;  ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები.	2018 – 2020
7.	რელიგიური მრავალფეროვნების ასახვა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამებსა და გადაცემებში	<p>ა. მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულების გაშუქება;</p> <p>ბ. ტელე და რადიო გადაცემებში სტუმრების შერჩევის დროს რელიგიური მრავალფეროვნების ასახვა (რელიგიების წარმომადგენელთა მოწვევა);</p> <p>გ. რელიგიების შესახებ საინფორმაცია-შემეცნებითი გადაცემების მომზადება.</p>	საზოგადოებრივი მაუწყებელი	